სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

სამაგისტრო პროგრამების კატალოგი

2024 - 2026 სასწავლო წელი

აკადემიის შესახებ

სამხედრო სასწავლებლების ისტორია საქართველოში 1918 წელს, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან იწყება. მას შემდეგ რაც 1918 წლის 26 მაისს საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა, დღის წესრიგში დადგა ოფიცერთა ეროვნული კადრების მომზადების საკითხი. საქართველოს ეროვნული საბჭოსა და რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1918 წლის 20 აგვისტოს გამართულ სხდომაზე დამტკიცდა „კანონი საქართველოს რესპუბლიკის რეგულიარული არმიის ორგანიზაციისა“, რომლის თანახმად იუნკერთა მოსამზადებლად უნდა დაარსებულიყო სამხედრო სკოლა. სწორედ ეს თარიღი განისაზღვრა სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის დღედ.

რესპუბლიკის მთავრობამ ახალი სამხედრო სასწავლებლის ჩამოყალიბება დაავალა გენერალ გიორგი კვინიტაძეს, რომლის ძალისხმევით ქართულმა სამხედრო სკოლამ იუნკერთ პირველი ნაკადი 1919 წლის სექტემბერში მიიღო. აღნიშნულმა სასწავლებელმა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიამდე (1921 წ.) იარსება. კომუნისტური მმართველობის დროს, სამხედრო სკოლა ჯერ წითელარმიელ კურსანტთა სამხედრო სასწავლებლად, შემდეგ კი თბილისის საარტილერიო სასწავლებლად გადაკეთდა და 1991 წლამდე იარსება.

1993 წლის 28 მაისს, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის ბრძანების საფუძველზე, შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის გაერთიანებული სამხედრო აკადემია, რომელმაც კურსანტთა პირველი ნაკადი 1993 წლის სექტემბერში მიიღო. მოგვიანებით სასწავლებელს ჯერ თავდაცვის ეროვნული აკადემია, ხოლო შემდგომ, ეროვნული თავდაცვის აკადემია ეწოდა. 2003 წლის 20 თებერვალს უმაღლეს სასწავლებელს დავით აღმაშენებლის სახელი მიენიჭა. 2009 წლიდან, სასწავლებელი ქალაქ გორში განლაგდა.

2010 წელს აკადემიაში რეფორმების ახალი ეტაპი დაიწყო, რომელმაც ოფიცერთა განათლების მთელი სისტემა მოიცვა. ამავე წელს თავდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით, აკადემიამ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი მოიპოვა. ეროვნული თავდაცვის აკადემიას მინიჭებული აქვს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი.

2014 წლის 28 მაისს, საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით, აკადემიის იუნკერებს, 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში გმირულად დაღუპული იუნკერების ხსოვნის პატივსაცემად, ისტორიული სახელი „იუნკერი“ დაუბრუნდათ.

აკადემიაში შექმნილია მსოფლიო სტანდარტების ადეკვატური განათლების მიღების, იუნკერების ნაყოფიერი და მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრებისათვის შესაბამისი გარემო. აკადემიაში წარმატებით ფუნქციონირებს:

აკადემიის შესახებ

იუნკერთა სასწავლო ბატალიონი, უმცროს ოფიცერთა მომზადების სკოლა, ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი და დისტანციური სწავლების ცენტრი. აკადემიას აქვს ბაზა, რომელიც უზრუნველყოფილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, როგორც სასწავლო-სამეცნიერო და ტექნიკური, ასევე სამხედრო სწავლებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურით. აკადემიაში ხორციელდება სამხედრო, აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო და სხვადასხვა პროფესიული პროგრამები, რომლებშიც ჩართულნი არიან სამხედრო და ფიზიკური მომზადების ინსტრუქტორები, აკადემიური/მოწვეული პერსონალი. აკადემიაში ხორციელდება ენების ინტენსიური სწავლება (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, თურქული, რუსული ენები და ქართული ენა (ეთნიკური უმცირესობებისთვის)).

საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში აკადემიის იუნკერები/ აკადემიური პერსონალი აქტიურად მონაწილეობენ მოკლევადიან და გრძელვადიან გაცვლით პროგრამებში და იღებენ ცოდნასა და გამოცდილებას სხვადასხვა მიმართულებით.

აკადემიაში სწავლა უფასოა, ყველა ხარჯს უზრუნველყოფს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. კურსდამთავრებულების 100%-იან დასაქმებას უზრუნველყოფს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. გარდა ამისა, აკადემიის იუნკერებს აქვთ ყოველთვიური სტიპენდია აკადემიური მოსწრებისა და სამხედრო საქმეში წარმატების შესაბამისად.

რექტორის მიმართვა

აკადემიის რექტორი

ბრიგადის გენერალი მამია ბალახაძე

დემოკრატიული, ძლიერი და წარმატებული სახელმწიფოს მშენებლობისთვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის უზრუნველყოფა ეროვნული ფასეულობების, ღირებულებების, ლიდერისთვის დამახასიათებელი აუცილებელი უნარ-ჩვევების, საუკეთესო სამხედრო და აკადემიური განათლების მქონე, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ოფიცერთა შემადგენლობით.

აღნიშნული ამოცანის შესრულების მიზნით, აკადემიაში წარმატებით ფუნქციონირებს: იუნკერთა სასწავლო ბატალიონი, უმცროს ოფიცერთა მომზადების სკოლა, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები, სწავლების პროცესის მხარდაჭერის ცენტრი, სპორტისა და ფიზიკური მომზადების განყოფილება, ბიბლიოთეკა, სპორტული კომპლექსი, სამეცნიერო-კვლევითი, საგამოცდო და დისტანციური სწავლების ცენტრები.

აკადემიის საქმიანობა დაფუძნებულია იუნკერზე/მსმენელზე ორიენტირებული გარემოს შექმნაზე. აკადემიაში, დასაქმებულნი არიან მაღალი კვალიფიკაციის მქონე სამხედრო მოსამსახურეები, ინსტრუქტორები, სამეცნიერო, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელთა უმთავრეს მიზანს წარმოადგენს იუნკერთა და მსმენელთა აღზრდა შემდეგ ღირებულებებზე დაყრდნობით: სამშობლო, ღირსება, ერთგულება, სიმამაცე, პატივისცემა, პატიოსნება, ცოდნა და უანგარო სამსახური.

აკადემია მომავალი ღირსეული და პროფესიონალი ოფიცრების აღზრდისთვის ახორციელებს ლიდერობის პროგრამას, რაც უზრუნველყოფს სამხედრო ლიდერის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას და განვითარებას. აღსანიშნავია, რომ აკადემიაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ამოცანით მართვის ფილოსოფიის გააზრებას და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას. „ამოცანით მართვის“ კულტურის დანერგვით აკადემიის კურსდამთავრებულები, შემდგომში როგორც უმცროსი მეთაურები საჭიროების შემთხვევაში შეძლებენ ინიციატივის გამოჩენას, გონივრული რისკების აღებას და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებას.

ოფიცრის საწყისი სამხედრო განათლების სტანდარტების მისაღწევად აკადემიაში დაინერგა და განხორციელდება ისეთი სამხედრო სწავლებები, როგორიც არის „მარტოხელა მებრძოლის“, სამთო მომზადების, წყალზე მომზადებისა და აერომობილური მომზადების კურსები. აღნიშნულ კურსებს იუნკერები ქვეყნის მასშტაბით თავდაცვის ძალების შესაბამის ბაზებზე გაივლიან.

აკადემია, როგორც სამხედრო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მუდმივად დგას გამოწვევების წინაშე. ჩვენს მიერ ნაკისრი ვალდებულებებიდან გამომდინარე, უპირველეს მიზანს წარმოადგენს, აკადემიის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების თავსებადობის უზრუნველყოფა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და თავდაცვის ძალების მოთხოვნებთან. ასევე, იუნკერებისა და მსმენელებისათვის ისეთი სახის თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიცემას, რაც დააკმაყოფილებს თავდაცვის სისტემაში არსებულ საჭიროებებს. გარდა ამისა, აკადემია მუდმივად უნდა იყოს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ მოთხოვნებთან თანხვედრაში.

აკადემია ბოლონიის პროცესის მიზნების მისაღწევად წარმატებით ახორციელებს: სწავლა/სწავლების ხარისხის მუდმივ განვითარებას, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაციას, პარტნიორი ქვეყნების საგანმანათლებლო დაწესებულებებთან უწყვეტ თანამშრომლობას, იუნკერების/მსმენელებისა და აკადემიის პირადი შემადგენლობის გაცვლით პროგრამებს საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში. ზემოხსენებული აქტივობების მეშვეობით, აკადემია სრულად აკმაყოფილებს საგანმანათლებლო პროგრამების მიმართ არსებულ როგორც შიდასახელმწიფოებრივ, ისე საერთაშორისო სტანდარტებს.

აკადემიის პირადი შემადგენლობა, როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო პირები ითავისებენ რა აკადემიის მნიშვნელობასა და როლს მომავალი სამხედრო ლიდერების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, აღნიშნული უზრუნველყოფს აკადემიის მზაობას - წარმატებით გაართვას თავი მის წინაშე არსებულ ყველა გამოწვევას, მათ შორის პანდემიურ ვითარებას და სხვა.

2024 წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის ანალიზის შემდგომ, 2025 წლისათვის აკადემიის საქმიანობის გაუმჯობესებისა და განვითარებისათვის აკადემიის ძირითად პრიორიტეტებს წარმოადგენს: ინსტიტუციური განვითარება, ნატო-ს აკრედიტაცია და სამაგისტრო პროგრამაზე სამხედრო, სახელმწიფოს უსაფრთხოების სფეროში დასაქმებული და სამოქალაქო პირების მიღება. აგრეთვე არსებული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება და ახალი საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის სამაგისტრო პროგრამის დამატება. ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაზე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაუმჯობესება, დისტანციური სწავლების ცენტრის განვითარება, საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება და ერთობლივი საერთაშორისო პროექტების განხორციელება. იუნკერთა/მსმენელთა სამხედრო მომზადების დონის ამაღლება, მათთვის ახალი კურსების დამატება. გასულ წელს შექმნილ ქართული საბრძოლო იარაღისა და ფორტიფიკაციის, სამართლის პრაქტიკული სწავლების სივრცის, სამართლის და მართვისა და კონტროლის საინფორმაციო სისტემის სასწავლო-შემეცნებით სივრცეებს დაემატება გაერთიანებული საქართველოს მეფეების, ქართველთა ლაშქრობების და ბრძოლების, სამხედრო ძალების ევოლუციის, უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ქართველი ერის ბრძოლის ისტორიის და ოკუპაციის სასწავლო-შემეცნებითი სივრცეები. აგრეთვე გაგრძელდება პირად შემადგენლობაზე ზრუნვა, სოციალური პაკეტის გაუმჯობესება, სტიპენდიების მატება, ბაზის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ლოჯისტიკური განვითარება, აკადემიის შესახებ ცნობადობის ამაღლების ღონისძიებები და სხვა.

ჩემთვის დიდი პატივია, ვემსახურო ჩვენს ქვეყანას, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და თავდაცვის ძალებს, სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორის რანგში. ჩვენ, აკადემიის სამეთაურო რგოლი, პირად შემადგენლობასთან ერთად, ძალისხმევას არ დავიშურებთ, რათა მიღწეულ იქნას აკადემიის მიერ დასახული მიზნები. აკადემიის წინაშე დასახული მიზნებისა და ამოცანების უზრუნველსაყოფად, წარმოგიდგენთ 2025 წლის ხედვას, როგორც სახელმძღვანელო დოკუმენტს.პატივისცემით,

ბრიგადის გენერალი მამია ბალახაძე.

აკადემიის ხელმძღვანელი პირები

აკადემიის რექტორის
მოადგილე -
შტაბის უფროსი
პოლკოვნიკი
იმედა გვრიტიშვილი

აკადემიის რექტორის
მოადგილე
პოლკოვნიკი
ზურაბ ზერეკიძე

აკადემიის სერჟანტი
მთავარი სერჟანტი
მანუჩარ დავითური

მაგისტრატურის ხელმძღვანელი
პოლკოვნიკი ირაკლი უჩაძე

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის ხელმძღვანელი
ვიცე-პოლკოვნიკი ლევან გოზალიშვილი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია
უსაფრთხოების კვლევების მაგისტრი

საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა:
120 ECTS კრედიტი

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა:

ეროვნული თავდაცვის აკადემიის უსაფრთხოების კვლევის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს უსაფრთხოების მაგისტრის აკადემიური ხარისხი ენიჭება 120 კრედიტის დაგროვების შედეგად, რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად:

- 96 კრედიტი - ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსი; (მათ შორის 30 კრედიტი - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კვლევითი კომპონენტი - სამაგისტრო ნაშრომი).

- 24 კრედიტი - ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები (შეთავაზებული არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობაა 83).

საგანმანათლებლო პროგრამის შეთავაზების მიზეზი და პროგრამის აქტუალობა

თანამედროვე გამოწვევები, რომელთა წინაშეც დგას საქართველოს თავდაცვის ძალები და საქართველოს უსაფრთხოების სახელმწიფო სექტორი, დღის წესრიგში აყენებს ისეთი პროფესიონალების მომზადებას, რომელთაც ექნებათ ღრმა, სისტემური ცოდნა და შესაბამისი პროფესიული უნარ-ჩვევები უსაფრთხოების კვლევების სპეციალიზაციით, შეეძლებათ ახალ, გაუთვალისწინებელ გარემოში მოქმედება და კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტა. კრიზისების მართვის ერთიანი, მოქნილი, მუდმივმოქმედი და ეფექტიანი სისტემის არსებობისთვის მზადყოფნა. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უწყებათა კოორდინირებული მუშაობით შეეძლებათ უზრუნველყონ მოსალოდნელი კრიზისის პროგნოზირება და თავიდან აცილება, ხოლო კრიზისის წარმოქმნის შემთხვევაში

– მისი ნეგატიური შედეგების უმოკლეს დროში ლიკვიდაცია ან მინიმუმამდე შემცირება, უსაფრთხოების შეცვლილი გარემოს გათვალისწინებით თავდაცვითი შესაძლებლობების ახალ გამოწვევებთან შეთავსება.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანს წარმოადგენს:

· თანამედროვე და ინოვაციური სწავლების მეთოდების გამოყენებით მოამზადოს მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრები (ოფიცრები, მკვლევარები, ანალიტიკოსები, უსაფრთხოების სპეციალისტები და ა.შ.) თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორისთვის, რომლებიც ფლობენ ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ფუნდამენტური საკითხების სიღმისეულ ცოდნას, არსებული გამოწვევების კვლევისა და ანალიზის მეთოდებს და პრობლემის გადაჭრის გზებს.

· სამაგისტრო პროგრამა იძლევა საფუძვლიან ცოდნას ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის შექმნისა და წარმოების უმნიშვნელოვანესი კომპონენტების, სახელმწიფოს მართვის სისტემაში უსაფრთხოების სისტემის როლისა და არქიტექტურის, ფუნდამენტური დოკუმენტების, უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის შესახებ.

საგანმანათლებლო პროგრამის დაშვების წინაპირობა

უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის მსურველებს პროგრამაზე ჩასარიცხად უნდა ჰქონდეთ:

- არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- უნდა ჩააბარონ ერთიანი ეროვნული გამოცდების საერთო სამაგისტრო გამოცდა (მაგისტრანტობის კანდიდატები ერთიანი ეროვნული გამოცდების საერთო სამაგისტრო გამოცდისათვის რეგისტრაციას გაივლიან ინტერნეტით, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე (www.naec.gov.ge; online.naec.ge). რეგისტრაციის ვადები (2024 წლის 4 მარტი - 4 აპრილი), გამოცდების თარიღები და სხვა ინსტრუქციები განთავსებული იქნება იგივე ვებგვერდზე);
- უნდა ჩააბარონ მისაღები გამოცდა სპეციალობაში (მისაღები გამოცდის თემატიკა უნდა გამოქვეყნდეს აკადემიის ვებ-გვერდზე შიდა გამოცდის თარიღამდე ორი კვირით ადრე);
- უნდა ჩააბარონ აკადემიის მიერ ორგანიზებული ინგლისური ენის გამოცდა STANAG 2/2/2/2 (სტანაგის თაობაზე ინფორმაცია იხილეთ თავდაცვის სამინისტროს ინტერნეტ გვერდზე - https://mod.gov.ge/ge/page/116/stanag-6001 ან თავდაცვის სამინისტროს შიდა პორტალზე - pd - mil.ge/english-text) ან წარმოადგინონ ენის ცოდნის შესაბამისი დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი მინიმუმ CEF B2 (ან შესაბამისი დონის TOEFEL/ILTS/ECL ან სხვა საერთაშორისო ინგლისური ენის გამოცდა) ან წარმოადგინონ დიპლომი/სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს, რომ გავლილი აქვთ ინგლისურენოვანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა ან სამხედრო საკარიერო კურსი (CCC, CGSC, WAR COLLEGE და ა.შ.);
- სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე მაგისტრანტობის კანდიდატები პროგრამაზე ირიცხებიან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამაგისტრო პროგრამაზე მიიღებიან:

- თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეები, სამოქალაქო და სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირები;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები, საქართველოს დაზვერვის სამსახურის თანამშრომლები;
- პროგრამაზე ასევე დაიშვებიან სამოქალაქო პირები, რომლებიც შრომით, სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში დაკავშირებული არ არიან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემასა და სხვა ამა თუ იმ უწყებასთან (კანონმდებლობით გათვალისწინებული საფასურის გადახდით).

„უსაფრთხოების კვლევების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კვოტა

არის - 30 ადგილი:

- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეები, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი სამოქალაქო და სპეციალური წოდების მქონე პირები - 15;

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები, საქართველოს დაზვერვის სამსახურის თანამშრომლები - 5;

- სამოქალაქო პირები - 10.

შენიშვნა:

- თუკი სამხედრო/სამოქალაქო მოსამსახურეების რაოდენობა აღემატება პროგრამისათვის არსებული ადგილების რაოდენობას, მისაღები გამოცდის შედეგების მიხედვით შექმნილი რეიტინგის შესაბამისად, პროგრამაზე ჩაირიცხება უკეთესი მაჩვენებლის მქონე სამხედრო/სამოქალაქო მოსამსახურე.
- რომელიმე სახელმწიფო უწყებიდან კანდიდატის არ არსებობის ან საგამოცდო მინიმუმის ვერ გადალახვის შემთხვევაში მათი კვოტა დაემატება თავდაცვის სამინისტროს სამხედრო გვარეობებს (მისაღები გამოცდის შედეგების მიხედვით შექმნილი რეიტინგის შესაბამისად, კურსზე ჩაირიცხება უკეთესი მაჩვენებ-ლის მქონე სამხედრო მოსამსახურე)

სწავლის შედეგები

უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს შემდეგი ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები:

- აღწერს, ღრმად და სისტემურად ფლობს და იაზრებს უსაფრთხოების კვლევის კონცეფციებსა და თეორიებს;
- აცნობიერებს და იაზრებს თანამედროვე გლობალური უსაფრთხოების გარემოს, მის თავისებურებებს, განვითარების პერსპექტივებს, ძირითად ტენდენციებსა და გამოწვევებს;
- კრიტიკულად იაზრებს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიებსა და კონცეფციებს, ადგენს მათ შორის ურთიერთკავშირს;
- აანალიზებს თავდაცვის და უსაფრთხოების პოლიტიკას, მის დაგეგმვაში იღებს აქტიურ მონაწილეობას და დამოუკიდებლად ატარებს კვლევას ამ მიმართულებით;
- აფასებს თანამედროვე ცვალებად უსაფრთხოების გარემოს, უზრუნველყოფს დასახული ამოცანების განხორციელებას ეროვნული ძალის ინსტრუმენტების გამოყენებით;
- აანალიზებს სწრაფად ცვალებად გარემოში არასრული ინფორმაციული სურათის პირობებს, იღებს კრიტიკული აზროვნების საფუძველზე სწორ და ლოგიკურად არგუმენტირებულ გადაწყვეტილებებს;

- არგუმენტირებულად განიხილავს, აფასებს და სიღრმისეულად აანალიზებს ეროვნული თავდაცვის პოლიტიკის, რეგიონული და საერთაშორისო უსაფრთხოების ასპექტების ძირითად პრინციპებს;
- ხელს უწყობს პროფესიული საქმიანობის განვითარებას ეროვნული უსაფრთხოების სფეროში რეკომენდაციებითა და ინიციატივებით;
- გამოიმუშავებს ქმედითი, ზეპირი და წერითი კომუნიკაციის უნარს;
- მიღებული ცოდნის საფუძველზე თანმიმდევრულად წარმართავს სწავლის პროცესს და დამოუკიდებლად განსაზღვრავს მის შემდგომ სასწავლო მოთხოვნებს;
- იღებს პასუხისმგებლობას საკუთარი, სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე, ქმნის პირობებს საერთო გუნდური გადაწყვეტილების მისაღწევად.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები: დისკუსიები/დებატები, ჯგუფური მუშაობა, გონებრივი იერიში, როლური თამაში, ზეპირი გამოკითხვა, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ახსნა– განმარტებითი მეთოდი, ტექსტზე მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი,აუდიო ვიზუალური მეთოდი, პრაქტიკული მეთოდი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შედარებითი ანალიზის მეთოდი, სიმულაციური სწავლება, შემთხვევების შესწავლა (Case study) და ა.შ.

საჭიროების შემთხვევაში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად გამოიყენება სინქრონული/ასინქრონული ელექტრონული სწავლება.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები დაკონკრეტებულია შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში.

შეფასების სისტემა

უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მაგისტრანტის ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების შესაბამისად; მაგისტრანტთა დატვირთვა მოიცავს: ლექციაზე, სემინარზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ მეცადინეობას, დამოუკიდებელ მუშაობას, სამეცნიერო-კვლევით კომპონენტზე (სამაგისტრო ნაშრომი და სხვა.) მუშაობას, სამაგისტრო ნაშრომის დაცვას, სხვა სახის საქმიანობას სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით შეფასებას: ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51–60 ქულა; არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:

ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, ჩაიჭრა. მაგისტრანტის სტატუსის შეწყვეტის საკითხს განიხილავს აკადემიური საბჭო. მაგისტრანტს უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე სასწავლო კურსში - FX-შეფასების მიღების შემთხვევაში დასკვნითი გამოცდის შედეგების

გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

მაგისტრანტთა ცოდნის შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდები სრულ შესაბამისობაშია როგორც მთლიანად პროგრამით, ისე მისი ცალკეული კომპონენტით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) კომპეტენციებთან.

მაგისტრანტთა ცოდნის შეფასება ხდება 100 - ქულიანი სისტემით. შეფასება ითვალისწინებს: შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი. შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში;

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა მაგისტრანტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების ყველა სასწავლო კომპონენტში მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილია 51%. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით). დასკვნითი შეფასება მოიცავს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასებას (20 ქულა), რეცენზენტის შეფასებას (30 ქულა) და სამაგისტრო ნაშრომის შეფასებას საჯარო დაცვაზე (50 ქულა). კრედიტის მიღების მოთხოვნაა მაქსიმალური (100)

ქულიდან 51 ქულის ან მეტის მიღება.

სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე მაგისტრანტმა უნდა შეასრულოს შემდეგი აქტივობები:

- მოამზადოს მინიმუმ 1 პუბლიკაცია და გამოაქვეყნოს რეფერირებად ჟურნალში;
- მონაწილეობა მიიღოს მინიმუმ 1 სამეცნიერო კონფერენციაში.

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისა და დაცვისათვის მსმენელს უნდა ჰქონდეს მიღებული საკმარისი კრედიტები სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმით სამაგისტრო ნაშრომის წინა სემესტრებში გათვალისწინებულ სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებში. საჯარო დაცვაზე დაშვების პირობაა სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის და რეცენზენტის შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვა. მსმენელი, რომელიც სამაგისტრო ნაშრომის დასკვნითი შეფასებაში მიიღებს უარყოფით შედეგს „FX“ (ვერ ჩაბარება), დაიშვება დამატებით დაცვაზე. მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში.

დასაქმების სფეროები

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის დამკვეთია საქართველოს თავდაცვის ძალები და საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულები დასაქმდებიან სტრატეგიულ პოლიტიკურ სფეროში, უსაფრთხოების სექტორში, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სხვა სამთავრობო უწყებებსა და ორგანიზაციებში კვალიფიკაციის შესაბამის პოზიციებზე, რომლებსაც სჭირდებათ ექსპერტული ცოდნა უსაფრთხოების პოლიტიკის მიზნებთან და თავდაცვის მიმართულებებთან დაკავშირებით. თავდაცვის სექტორთან ერთად, კურსდამთავრებულებს შეუძლიათ დასაქმდნენ სამოქალაქო სექტორშიც: კვლევით და კერძო ორგანიზაციებში, რომელიც სპეციალიზებულია უსაფრთხოების და თავდაცვის საკითხებში, კონტრტერორისტულ პოლიტიკაში და სხვა. კურსდამთავრებულებს შეეძლებათ ეროვნული თავდაცვის საკითხების, უსაფრთხოების კვლევებისა და პოლიტიკური კვლევების განხორციელებაში მონაწილეობა და იმ ძირითად სფეროებში მუშაობა, სადაც ორიენტაცია აღებულია ეროვნულ უსაფრთხოებაზე, უსაფრთხოებისა და თავდაცვის მიმართულების ჩამოყალიბებასა და განხორციელებაზე.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

უსაფთხოების კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამამთავრებულს საშუალება აქვს სწავლა გააგრძელოს უმაღლესი აკადემიური განათლების მესამე საფეხურზე - დოქტორანტურაში, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.

მაგისტრატურის ხელმძღვანელი
პოლკოვნიკი ირაკლი უჩაძე

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
სახელმწიფო რესურსების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის ხელმძღვანელი
პოლკოვნიკი ჯამბულ ზალოშვილი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია
საჯარო მმართველობის მაგისტრი

საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა:
121 ECTS კრედიტი

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა:

ეროვნული თავდაცვის აკადემიის სახელმწიფო რესურსების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიური ხარისხი ენიჭება 121 კრედიტის დაგროვების შედეგად, რომლებიც ნაწილდება შემდეგნაირად:

- 97 კრედიტი-ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსი; (მათ შორის 30 კრედიტი - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კვლევითი კომპონენტი - სამაგისტრო ნაშრომი).

- 24 კრედიტი - ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები. (შეთავაზებული არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობაა 60).

საგანმანათლებლო პროგრამის შეთავაზების მიზეზი და პროგრამის აქტუალობა

ანამედროვე გამოწვევები, რომელთა წინაშეც დგას საქართველოს სახელმწიფო უწყებები და მათ შორის საქართველოს თავდაცვის ძალები, დღის წესრიგში აყენებს მართვის სტრატეგიული დონისათვის პროფესიონალების მომზადებას, რომელთაც ექნებათ ღრმა, კვლევაზე დაფუძნებული სისტემური ცოდნა და შესაბამისი პროფესიული უნარები სახელმწიფო მართვაში, მათ შორის რესურსების დაგეგმვის და მართვის პოლიტიკის განხორციელებაში. შეეძლებათ გაუთვალისწინებელ და ცვლად გარემოში მოქმედება და კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტა.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

სახელმწიფო რესურსების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ეროვნული უსაფრთხოების სფეროში სტრატეგიული დონის კვალიფიციური სამხედრო და სამოქალაქო ლიდერების მომზადება, რომლებსაც ექნებათ სფეროს მულტიდისციპლინური, სისტემური და სიღრმისეული ცოდნა ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტში და შეეძლებათ:

- საჯარო მმართველობის ყველა დონეზე (ეროვნული, მუნიციპალური, სექტორული, ორგანიზაციული) სტრატეგიული მართვის და პოლიტიკის შემუშავება;
- მმართველობითი პროცესების უწყვეტად განხორციელება და ეფექტიანი/ეფექტური გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება;
- საზოგადოებრივი პრობლემების გადასაჭრელად ახალი, ინოვაციური, უნივერსალური დემოკრატიული ფასეულობათა სისტემის შესაბამისი გადაწყვეტილებების შემუშავება და მათთან დაკავშირებით სათანადო კომუნიკაცია პოლიტიკურ გადაწყვეტილებების მიმღებებთან;
- ეროვნული და საერთაშორისო მეცნიერული კვლევების საფუძველზე საჯარო სექტორის ინსტიტუტების სტრატეგიული სისტემური მიდგომით მართვა;
- საჯარო სექტორში დაგეგმვის, პროგრამირების, ბიუჯეტირების და აღსრულების პროცესის ორგანიზება;
- ინფორმაციის ავტონომიურად მოძიებისა და სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარი, ასევე აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან საკუთარი კვლევის შედეგების გადმოცემა ეროვნულ და საერთაშორისო მასშტაბით.

საგანმანათლებლო პროგრამის დაშვების წინაპირობა

სახელმწიფო რესურსების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის მსურველებს პროგრამაზე ჩასარიცხად უნდა ჰქონდეთ:

- არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- უნდა ჩააბარონ ერთიანი ეროვნული გამოცდების საერთო სამაგისტრო გამოცდა (მაგისტრანტობის კანდიდატები ერთიანი ეროვნული გამოცდების საერთო სამაგისტრო გამოცდისათვის რეგისტრაციას გაივლიან ინტერნეტით, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე (www.naec.gov.ge; online.naec.ge). რეგისტრაციის ვადები (2024 წლის 4 მარტი - 4 აპრილი), გამოცდების თარიღები და სხვა ინსტრუქციები განთავსებული იქნება იგივე ვებგვერდზე);
- უნდა ჩააბარონ მისაღები გამოცდა სპეციალობაში (მისაღები გამოცდის თემატიკა უნდა გამოქვეყნდეს აკადემიის ვებ-გვერდზე შიდა გამოცდის თარიღამდე ორი კვირით ადრე);
- უნდა ჩააბარონ აკადემიის მიერ ორგანიზებულ ინგლისური ენის გამოცდა STANAG 2/2/2/2 (სტანაგის თაობაზე ინფორმაცია იხილეთ თავდაცვის სამინისტროს ინტერნეტ გვერდზე - https://mod.gov.ge/ge/page/116/stanag-6001 ან თავდაცვის სამინისტროს შიდა პორტალზე - pd - mil.ge/english-text) ან წარმოადგინონ ენის ცოდნის შესაბამისი დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი მინიმუმ CEF B2 (ან შესაბამისი დონის TOEFEL/ILTS/ECL ან სხვა საერთაშორისო ინგლისური ენის გამოცდა) ან წარმოადგინონ დიპლომი/სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს, რომ გავლილი აქვთ ინგლისურენოვანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა ან სამხედრო საკარიერო კურსი (CCC, CGSC, WAR COLLEGE და ა.შ.);
- სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე მაგისტრანტობის კანდიდატები პროგრამაზე ირიცხებიან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამაგისტრო პროგრამაზე მიიღებიან:

- თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეები, სამოქალაქო და სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირები;
- უსაფრთხოების სექტორის და სახელმწიფო სტრუქტურების მოქმედი თანამშრომლები;
- პროგრამაზე ასევე დაიშვებიან სამოქალაქო პირები, რომლებიც შრომით, სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში დაკავშირებული არ არიან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემასა და სხვა ამა თუ იმ უწყებასთან (კანონმდებლობით გათვალისწინებული საფასურის გადახდით).

„სახელმწიფო რესურსების მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კვოტა არის - 30 ადგილი:

- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეები, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი სამოქალაქო და სპეციალური წოდების მქონე პირები - 15;
- საქართველოს სხვა სამინისტროების / სახელმწიფო უწყებების მოსამსახურეები - 5;
- სამოქალაქო პირები - 10.

შენიშვნა:

- თუკი სამხედრო/სამოქალაქო მოსამსახურეების რაოდენობა აღემატება პროგრამისათვის არსებული ადგილების რაოდენობას, მისაღები გამოცდის შედეგების მიხედვით შექმნილი რეიტინგის შესაბამისად, პროგრამაზე ჩაირიცხება უკეთესი მაჩვენებლის მქონე სამხედრო/სამოქალაქო მოსამსახურე.
- რომელიმე სახელმწიფო უწყებიდან კანდიდატის არ არსებობის ან საგამოცდო მინიმუმის ვერ გადალახვის შემთხვევაში მათი კვოტა დაემატება თავდაცვის სამინისტროს სამხედრო გვარეობებს (მისაღები გამოცდის შედეგების მიხედვით შექმნილი რეიტინგის შესაბამისად, კურსზე ჩაირიცხება უკეთესი მაჩვენებლის მქონე სამხედრო მოსამსახურე)

სწავლის შედეგები

საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს შემდეგი ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები:

- განიხილავს თანამედროვე საჯარო მმართველობის განვითარების ტენდეციებს არსებულ საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით;
- სისტემურად აღწერს ეკონომიკური უსაფრთხოების პრინციპებსა და კონცეფციებს;
- განიხილავს ეკონომიკის გავლენას ეროვნულ უსაფრთხოებაზე;
- განსაზღვრავს დაგეგმვის, პროგრამირების, ბიუჯეტირებისა და აღსრულების სისტემის, მომარაგების ჯაჭვის შექმნის, მოქმედებისა და კონტროლის, ასევე სტრატეგიული სახელმწიფო შესყიდვების პრინციპებსა და მექანიზმებს;
- განიხილავს სტრატეგიული ხელმძღვანელობისა და ადამიანური რესურსების მართვის ძირითად თანამედროვე პრინციპებს;
- ეროვნული უსაფრთხოების რესურსებით უზრუნველყოფისას ახდენს კომპლექსურ პრობლემათა იდენტიფიცირებას და აღწერას.
- აანალიზებს ეროვნულ და უწყებრივ დონეებზე სტრატეგიული მართვის პროცესს;
- შეიმუშავებს მომავალი სამოქმედო გარემოს კონცეფციას, აანალიზებს ეროვნული დონის სტრატეგიების რესურსებით უზრუნველყოფის პროცესს;
- განსაზღვრავს დაგეგმვის, პროგრამირების, ბიუჯეტირებისა და აღსრულების სისტემის ძირითად მიმართულებებს;
- შეიმუშავებს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას და მისი განხორციელების ძირითად ეტაპებს;
- აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით, თანამედროვე მიდგომების გამოყენებით, დამოუკიდებლად ახორციელებს კვლევას და ახდენს შედეგების არგუმენტირებულ დასაბუთებას;
- ეროვნული უსაფრთხოების რესურსებით უზრუნველყოფისას ახდენს კომპლექსურ პრობლემათა შეფასებას, პოლიტიკის მიზნების განსაზღვრას, შედეგების პროგნოზირებასა და შეფასებას;
- შეიმუშავებს ეკონომიკის სექტორის განვითარებაზე ორიენტირებულ კვალიფიციურ და კვლევაზე დაფუძნებულ რეკომენდაციებს;
- რთულ და კომპლექსურ გარემოში განსაზღვრავს მოლაპარაკების სტრატეგიასა და ტაქტიკას.
- დამოუკიდებლად ახორციელებს უახლესი ინფორმაციის მოძიებას და გააჩნია სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარი;
- კარგი მმართველობის (Good Governance) პრინციპებზე დაყრდნობით შეიმუშავებს თანამედროვე მმართველობის სისტემის მოდელს, ახდენს პრობლემების იდენტიფიცირებას და განსაზღვრავს მათი გადაჭრის გზებს;
- სტრატეგიული მმართველობის მიდგომების გათვალისწინებით საჯარო მმართველობის სფეროში დამოუკიდებლად აფასებს და განსაზღვრავს გუნდისა და მასში შემავალი პერსონალის პროფესიულ უნარ-ჩვევებს და კარიერული ზრდის პერსპექტივებს.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდებს წარმოადგენს ლექცია და პრაქტიკული მუშაობა. სწავლება-სწავლის პროცესში გამოყენებული იქნება ისეთი აქტივობები, როგორიცაა გუნდური/ჯგუფური მუშაობა, სემინარი, ზეპირი გამოკითხვის მეთოდი, დისკუსიები/დებატები, გონებრივი იერიში, როლური და სიტუაციური თამაში, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, შედარებითი ანალიზის მეთოდი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, შემთხვევის შესწავლა, შესრულებაზე ორიენტირებული სწავლა, სიმულაციური სწავლება, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, აუდიო-ვიზუალური მეთოდი, ტექსტზე მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი და სხვ.და ა.შ. სასწავლო მეთოდები დაკონკრეტებულია შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში.

საჭიროების შემთხვევაში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად გამოიყენება სინქრონული/ასინქრონული ელექტრონული სწავლება.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები დაკონკრეტებულია შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში.

შეფასების სისტემა

სახელმწიფო რესურსების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მაგისტრანტის ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების შესაბამისად; მაგისტრანტთა დატვირთვა მოიცავს: ლექციაზე, სემინარზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ მეცადინეობას, დამოუკიდებელ მუშაობას, სამეცნიერო-კვლევით კომპონენტზე (სამაგისტრო ნაშრომი და სხვა.) მუშაობას, სამაგისტრო ნაშრომის დაცვას, სხვა სახის საქმიანობას სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით შეფასებას: ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51–60 ქულა; არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:

ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, ჩაიჭრა. მაგისტრანტის სტატუსის შეწყვეტის საკითხს განიხილავს აკადემიური საბჭო.

მაგისტრანტს უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე სასწავლო კურსში - FX-შეფასების მიღების შემთხვევაში დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

მაგისტრანტთა ცოდნის შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდები სრულ შესაბამისობაშია როგორც მთლიანად პროგრამით, ისე მისი ცალკეული კომპონენტით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) კომპეტენციებთან.

მაგისტრანტთა ცოდნის შეფასება ხდება 100 - ქულიანი სისტემით. შეფასება ითვალისწინებს: შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი. შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში;

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა მაგისტრანტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების ყველა სასწავლო კომპონენტში მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილია 51%.

სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით). დასკვნითი შეფასება მოიცავს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასებას (20 ქულა), რეცენზენტის შეფასებას (30 ქულა) და სამაგისტრო ნაშრომის შეფასებას საჯარო დაცვაზე (50 ქულა). კრედიტის მიღების მოთხოვნაა მაქსიმალური (100) ქულიდან 51 ქულის ან მეტის მიღება.

სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე მაგისტრანტმა უნდა შეასრულოს შემდეგი აქტივობები:

- მოამზადოს მინიმუმ 1 პუბლიკაცია და გამოაქვეყნოს რეფერირებად ჟურნალში;
- მონაწილეობა მიიღოს მინიმუმ 1 სამეცნიერო კონფერენციაში.

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისა და დაცვისათვის მსმენელს უნდა ჰქონდეს მიღებული საკმარისი კრედიტები სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმით სამაგისტრო ნაშრომის წინა სემესტრებში გათვალისწინებულ სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებში. საჯარო დაცვაზე დაშვების პირობაა სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის და რეცენზენტის შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვა. მსმენელი, რომელიც სამაგისტრო ნაშრომის დასკვნით შეფასებაში მიიღებს უარყოფითი შედეგს „FX“ (ვერ ჩაბარება), დაიშვება დამატებით დაცვაზე. მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში.

დასაქმების სფეროები

კურსდამთავრებულები დასაქმდებიან სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების რესურსების მართვის სფეროს მმართველ რგოლებში, როგორც ხელმძღვანელ (განყოფილების უფროსი, სამმართველოს უფროსი, დეპარტამენტის უფროსი, უწყების ხელმძღვანელის მოადგილე რესურსების დარგში), ასევე მრჩევლის თანამდებობაზე (პრეზიდენტის მრჩეველი, პარლამენტის წევრის ან საპარლამენტო კომიტეტის მრჩეველი, მინისტრის მრჩეველი, თავდაცვის ძალების მეთაურის მრჩეველი და ა.შ.), იქ სადაც საჭიროა ექსპერტული ცოდნა სახელმწიფო რესურსების სტრატეგიის განვითარებაზე, დაგეგმვა, პროგრამირება და ბიუჯეტირებაზე, აღსრულების მართვასა და კონტროლზე.

კურსდამთავრებულებს შეუძლიათ დასაქმდნენ სამოქალაქო სექტორშიც; სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებში, რომელიც სპეციალიზებულია რესურსების სფეროს დაგეგმვასა და აღსრულებაში; რესურსების სტრატეგიულ დაგეგმვაში, ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, ეროვნული უსაფრთხოების რესურსებით უზრუნველყოფის საკითხებში და სხვა. როგორც რესურსების მართვის სფეროს ექსპერტებს, კურსდამთავრებულებს შეეძლებათ ეროვნული უსაფრთხოებისა და ეროვნული თავდაცვის სტრატეგიის რესურსებით უზრუნველყოფის საკითხების კვლევებში, შექმნასა და განხორციელებაში მონაწილეობა და იმ ძირითად სფეროებში მუშაობა, სადაც ორიენტაცია აღებულია სახელმწიფო რესურსების მართვაზე, მიმართულების, პროგრამების ჩამოყალიბებასა და განხორციელებაზე.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

სწავლის გაგრძელება შესაძლებელია უმაღლესი აკადემიური განათლების მესამე საფეხურზე - დოქტორანტურაში, როგორც საქართველოში, ისე – საზღვარგარეთ.

მაგისტრატურის ხელმძღვანელი
პოლკოვნიკი ირაკლი უჩაძე

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის ხელმძღვანელი
ვიცე-პოლკოვნიკი არკადი ანთია

მისანიჭებელი კვალიფიკაცია
თავდაცვის ანალიზის მაგისტრი

საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა:
121 ECTS კრედიტი

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა:

ეროვნული თავდაცვის აკადემიის თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს თავდაცვის ანალიზის მაგისტრის აკადემიური ხარისხი ენიჭება 121 კრედიტის დაგროვების შედეგად, რომლებიც ნაწილდება შემდეგნაირად:

- 91 კრედიტი - ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსი; (მათ შორის 30 კრედიტი - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კვლევითი კომპონენტი - სამაგისტრო ნაშრომი);

- 30 კრედიტი - ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - (სულ შეთავაზებული არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობაა 61).

საგანმანათლებლო პროგრამის შეთავაზების მიზეზი და პროგრამის აქტუალობა

სამაგისტრო პროგრამის შეთავაზების მიზეზია საქართველოში სამხედრო სფეროში უმაღლესი განათლების მაგისტრატურის საფეხურზე წინამდებარე უნიკალური პროგრამის შეთავაზების აუცილებლობა. თანამედროვე ჰიბრიდული გამოწვევების საპასუხოდ, ტოტალური თავდაცვის სისტემის დასანერგად და კომპლექსური პრობლემების გადასაწყვეტად საქართველოს თავდაცვის ძალებს და ზოგადად უსაფრთხოების სექტორს ესაჭიროება ღრმა სისტემური ცოდნის მქონე პროფესიონალები. პროგრამა აქტუალურია, კარიერული წინსვლის და უფროს ოფიცერთა შემადგენლობის სამხედრო წოდებრივი და თანამდებობრივი დაწინაურების არსებულ სისტემასთან შესაბამისობის მიზნით.

პროგრამა შექმნილია აკადემიის ამერიკელ მრჩეველთა ჯგუფის მხარდაჭერით.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სიღრმისეული ცოდნისა და პროფესიული უნარ-ჩვევების მქონე სამხედრო და სამოქალაქო მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, რომლებსაც უსაფრთხოების ცვალებად გარემოს პირობებში:

- ექნებათ ღრმა და სისტემური ცოდნა თავდაცვის კონცეფციებისა და თეორიების შესახებ;
- მონაწილეობას მიიღებენ სამხედრო პოლიტიკისა და თავდაცვითი სტრატეგიის დახვეწასა და მათ სათანადო განხორციელებაში;
- შეეძლებათ სამხედრო ოპერაციების/კამპანიების მომზადება, დაგეგმვა და აღსრულებაში მონაწილეობის მიღება;
- შეეძლებათ მუშაობა ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობისას თავდაცვის სფეროს ფართო სპექტრში, როგორც ეროვნულ ასევე საერთაშორისო დონეზე.

სფეროს საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, პროგრამა მაქსიმალურადაა პრაქტიკაზე და კარიერულ პროგრესზე ორიენტირებული და მოწოდებულია მსმენელისთვის ისეთი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მიწოდებაზე, რომლებიც ადეკვატურად პასუხობს თანამედროვე უსაფრთხოების სფეროსა და ქმნის საზოგადოების განვითარების წინაპირობას.

საგანმანათლებლო პროგრამის დაშვების წინაპირობა

თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის მსურველებს პროგრამაზე ჩასარიცხად უნდა ჰქონდეთ:

- არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- უნდა ჩააბარონ ერთიანი ეროვნული გამოცდების საერთო სამაგისტრო გამოცდა (მაგისტრანტობის კანდიდატები ერთიანი ეროვნული გამოცდების საერთო სამაგისტრო გამოცდისათვის რეგისტრაციას გაივლიან ინტერნეტით, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე (www.naec.gov.ge; online.naec.ge). რეგისტრაციის ვადები (2024 წლის 4 მარტი - აპრილი), გამოცდების თარიღები და სხვა ინსტრუქციები განთავსებული იქნება იგივე ვებგვერდზე);
- უნდა ჩააბარონ მისაღები გამოცდა სპეციალობაში (მისაღები გამოცდის თემატიკა უნდა გამოქვეყნდეს აკადემიის ვებგვერდზე შიდა გამოცდის თარიღამდე ორი კვირით ადრე ადრე);
- უნდა ჩააბარონ აკადემიის მიერ ორგანიზებულ ინგლისური ენის გამოცდა STANAG 2/2/2/2 (სტანაგის თაობაზე ინფორმაცია იხილეთ თავდაცვის სამინისტროს ინტერნეტ გვერდზე - https://mod.gov.ge/ge/page/116/stanag-6001 ან თავდაცვის სამინისტროს შიდა პორტალზე - pd - mil.ge/english-text) ან წარმოადგინონ ენის ცოდნის შესაბამისი დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი მინიმუმ CEF B2 (ან შესაბამისი დონის TOEFEL/ILTS/ECL ან სხვა საერთაშორისო ინგლისური ენის გამოცდა) ან წარმოადგინონ დიპლომი/სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს, რომ გავლილი აქვთ ინგლისურენოვანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა ან სამხედრო საკარიერო კურსი (CCC, CGSC, WAR COLLEGE და ა.შ.);
- სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე მაგისტრანტობის კანდიდატები პროგრამაზე ირიცხებიან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამაგისტრო პროგრამაზე მიიღებიან:

- თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეები, სამოქალაქო და სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირები;
- უსაფრთხოების სექტორის და სახელმწიფო სტრუქტურების მოქმედი თანამშრომლები;
- პროგრამაზე ასევე დაიშვებიან სამოქალაქო პირები, რომლებიც შრომითი, სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში დაკავშირებული არ არიან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემასა და სხვა ამა თუ იმ უწყებასთან (კანონმდებლობით გათვალისწინებული საფასურის გადახდით).

„თავდაცვის ანალიზის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კვოტა არის - 30 ადგილი:

- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემისსამხედრო მოსამსახურეები - 15 ;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები - 5;
- სამოქალაქო პირები - 10.

შენიშვნა:

- თუკი სამხედრო/სამოქალაქო მოსამსახურეების რაოდენობა აღემატება პროგრამისათვის არსებული ადგილების რაოდენობას, მისაღები გამოცდის შედეგების მიხედვით შექმნილი რეიტინგის შესაბამისად, პროგრამაზე ჩაირიცხება უკეთესი მაჩვენებლის მქონე სამხედრო/სამოქალაქო მოსამსახურე.
- რომელიმე სახელმწიფო უწყებიდან კანდიდატის არ არსებობის ან საგამოცდო მინიმუმის ვერ გადალახვის შემთხვევაში მათი კვოტა დაემატება თავდაცვის სამინისტროს სამხედრო გვარეობებს (მისაღები გამოცდის შედეგების მიხედვით შექმნილი რეიტინგის შესაბამისად, კურსზე ჩაირიცხება უკეთესი მაჩვენებლის მქონე სამხედრო მოსამსახურე)

სწავლის შედეგები

თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს შემდეგი ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები:

- სიღრმისეულად იაზრებს თავდაცვის ანალიზის, ეროვნული თავდაცვის პოლიტიკის და საგარეო პოლიტიკის ძირითად პრინციპებს, თავდაცვის კონცეფციებს და თეორიებს, რაც მისცემს მათ შესაძლებლობას იმსჯელონ, განიხილონ და მონაწილეობა მიიღონ ახალი მიდგომებისა და კონცეფციების შემუშავების პროცესში;
- სისტემურად აღწერს თავდაცვის ანალიზისა და ეროვნული თავდაცვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებს;
- კრიტიკულად განიხილავს სამხედრო ლიდერობაში არსებულ თანამედროვე მიდგომებს;
- სამხედრო ინტერვენციის, ოკუპაციის და ანექსის შესახებ მიღებული ღრმა ცოდნის საფუძველზე გადმოსცემს ომებისა და სამხედრო ხელოვნების ისტორიის არსს, თანამედროვე საბრძოლო ტაქტიკას და სტრატეგიას, ახდენს საქართველოს უახლესი ისტორიის საკითხების ილუსტრირებას სამხედრო-პოლიტიკურ ასპექტში;
- არჩევს შესაფერის მეთოდებს ეროვნული უსაფრთხოების საკითხების ანალიზისთვის;
- კრიტიკულად აანალიზებს რეგიონული და საერთაშორისო უსაფრთხოების ასპექტებს;
- ახდენს თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების ჩამოყალიბებას აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან, აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით;
- ურთიერთაკავშირებს თავდაცვის ძალების რესურსების დაგეგმვას, ბიუჯეტირებას და პროგრამირებას.
- ახდენს, ამოცანით მართვის ფილოსოფიის ინტეგრირებას სამხედრო ლიდერობაში.
- გეგმავს საკუთარი და სხვების პროფესიულ განვითარებას, რითაც ხელს უწყობს პროფესიული ცოდნის აკუმულირებას;
- დამოუკიდებლად წარმართავს საკუთარი სწავლის პროცესს.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენება შემდეგი მეთოდები: დისკუსიები/დებატები, გუნდური მუშაობა, გონებრივი იერიში, როლური თამაში, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, შესრულებაზე ორიენტირებული სწავლა, სიმულაციური სწავლება, პრაქტიკული დავალებები და ა.შ.

სასწავლო მეთოდები დაკონკრეტებულია შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში.

საჭიროების შემთხვევაში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად გამოიყენება სინქრონული/ასინქრონული ელექტრონული სწავლება.

შეფასების სისტემა

თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მაგისტრანტის ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების შესაბამისად; მაგისტრანტთა დატვირთვა მოიცავს: ლექციაზე, სემინარზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ მეცადინეობას, დამოუკიდებელ მუშაობას, სამეცნიერო-კვლევით კომპონენტზე (სამაგისტრო ნაშრომი და სხვა.) მუშაობას, სამაგისტრო ნაშრომის დაცვას, სხვა სახის საქმიანობას სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით შეფასებას: ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51–60 ქულა; არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:

ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, ჩაიჭრა. მაგისტრანტის სტატუსის შეწყვეტის საკითხს განიხილავს აკადემიური საბჭო. მაგისტრანტს უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე სასწავლო

კურსში - FX-შეფასების მიღების შემთხვევაში დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

მაგისტრანტთა ცოდნის შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდები სრულ შესაბამისობაშია როგორც მთლიანად პროგრამით, ისე მისი ცალკეული კომპონენტით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) კომპეტენციებთან.

მაგისტრანტთა ცოდნის შეფასება ხდება 100 - ქულიანი სისტემით. შეფასება ითვალისწინებს: შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი. შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში;

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა მაგისტრანტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების ყველა სასწავლო კომპონენტში მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილია 51%. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით). დასკვნითი შეფასება მოიცავს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასებას (20 ქულა), რეცენზენტის შეფასებას (30 ქულა) და სამაგისტრო ნაშრომის შეფასებას საჯარო დაცვაზე (50 ქულა). კრედიტის მიღების მოთხოვნაა მაქსიმალური (100)

ქულიდან 51 ქულის ან მეტის მიღება.

სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე მაგისტრანტმა უნდა შეასრულოს შემდეგი აქტივობები:

- მოამზადოს მინიმუმ 1 პუბლიკაცია და გამოაქვეყნოს რეფერირებად ჟურნალში;
- მონაწილეობა მიიღოს მინიმუმ 1 სამეცნიერო კონფერენციაში.

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისა და დაცვისათვის მსმენელს უნდა ჰქონდეს მიღებული საკმარისი კრედიტები სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმით სამაგისტრო ნაშრომის წინა სემესტრებში გათვალისწინებულ სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებში. საჯარო დაცვაზე დაშვების პირობაა სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის და რეცენზენტის შეფასებების მინიმალური კომპეტენციის

ზღვარის გადალახვა. მსმენელი, რომელიც სამაგისტრო ნაშრომის დასკვნითი შეფასებაში მიიღებს უარყოფითი შედეგს „FX“ (ვერ ჩაბარება), დაიშვება დამატებით დაცვაზე. მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში.

დასაქმების სფეროები

თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულები დასაქმდებიან სტრატეგიულ პოლიტიკურ სფეროში, მრჩეველთა პოზიციებზე, თავდაცვის სამინისტროსა, საგარეო საქმეთა სამინისტროს, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს და თავდაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სხვა დაწესებულებებში. სამხედრო სექტორთან ერთად, კურსდამთავრებულებს შეუძლიათ დასაქმდნენ სამოქალაქო სექტორშიც: სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებში, რომელიც სპეციალიზებულია მიმართულებების დადგენასა და განხორციელებაში: თავდაცვის უსაფრთხოების საკითხებში, კონტრტერორისტულ პოლიტიკაში და სხვა. კურსდამთავრებულებს შეეძლებათ ეროვნული თავდაცვის საკითხების, თავდაცვის უსაფრთხოების კვლევებისა და პოლიტიკური კვლევების განხორციელებაში მონაწილეობა და იმ ძირითად სფეროებში მუშაობა, სადაც ორიენტაცია აღებულია ეროვნულ უსაფრთხოებაზე, უსაფრთხოებისა და თავდაცვის მიმართულების ჩამოყალიბებასა და განხორციელებაზე.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელების შეასაძლებლობა აქვს უმაღლესი აკადემიური განათლების მესამე საფეხურზე - დოქტორანტურაში, როგორც საქართველოში, ისე – საზღვარგარეთ.

მაგისტრატურის ხელმძღვანელი
პოლკოვნიკი ირაკლი უჩაძე

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის ხელმძღვანელის მ.შ.
პროფესორი ნიკოლოზ სამხარაძე

მისანიჭებელი კვალიფიკაცია
საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი

საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა:
123 ECTS კრედიტი

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა:

ეროვნული თავდაცვის აკადემიის საერთაშორისო ურთიერთობები და დიპლომატიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხი ენიჭება 123 კრედიტის დაგროვების

შედეგად, რომლებიც ნაწილდება შემდეგნაირად:

- 93 კრედიტი - ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსი; მათ შორის 30 კრედიტი - სამაგისტრო ნაშრომი (საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კვლევითი კომპონენტი);
- 30 კრედიტი - ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები (სულ შეთავაზებული არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობაა 91).

საგანმანათლებლო პროგრამის შეთავაზების მიზეზი და პროგრამის აქტუალობა

საერთაშორისო ურთიერთობები და დიპლომატიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის(შემდგომში პროგრამა) შეთავაზების მიზეზია საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში სტრატეგიული დონის კვალიფიციური სამხედრო და სამოქალაქო ხელმძღვანელი პირების მომზადება, რომლებსაც ექნებათ სფეროს მულტიდისციპლინური, სისტემური და სიღრმისეული ცოდნა. შეეძლებათ თანამედროვე მრავალფაქტორიან გარემოში, არსებულ, წარმოქმნილ და გაუთვალისწინებელ საფრთხეებზე რეაგირებისათვის შესაბამისი ცოდნა და ღრმა კრიტიკულ ანალიზზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღება.

პროგრამა ასევე აქტუალურია, კარიერული წინსვლის და ოფიცერთა შემადგენლობის სამხედრო წოდებრივი და თანამდებობრივი დაწინაურების არსებულ სისტემასთან შესაბამისობის მიზნით.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია სამხედრო და სამოქალაქო კადრების მომზადება, რომელთაც ექნებათ საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული განზომილების, აგრეთვე ამ სფეროში არსებული ემპირიული გამოცდილების სიღმისეული ცოდნა, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს უსაფრთხოების თანამედროვე, ცვალებად და არაპროგნოზირებად გარემოში, სხვადასხვა ჭრილში გაანალიზონ როგორც რეგიონული აგრეთვე გლობალური პოლიტიკური პროცესები. პროგრამა უზრუნველყოფს მსმენელებისთვის იმ უნარების განვითარებას, რომლებიც აუცილებელია დინამიურ საერთაშორისო გარემოში დიპლომატიური ბერკეტებისა და სიტუაციური ანალიზის გამოყენებით ეროვნული ინტერესებისათვის რაციონალური და ოპტიმალური პოლიტიკის განსასაზღვრად.

საგანმანათლებლო პროგრამის დაშვების წინაპირობა

პროგრამაზე სწავლის მსურველებს უნდა ჰქონდეთ არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

სამაგისტრო პროგრამაზე ჩასარიცხად:

- მსურველმა უნდა ჩააბაროს საერთო სამაგისტრო გამოცდა;
- შიდა გამოცდა სპეციალობაში;
- ჩააბარებენ აკადემიის მიერ ორგანიზებულ ინგლისური ენის გამოცდას STANAG 2/2/2/2 ან წარმოადგენენ ენის ცოდნის შესაბამისი დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს მინიმუმ CEF B2 (ან შესაბამისი დონის TOEFEL/ILTS/ECL ან სხვა საერთაშორისო ინგლისური ენის გამოცდა) ან წარმოადგენენ დიპლომს/ სერთიფიკატს, რომელიც ადასტურებს, რომ გავლილი აქვთ ინგლისურენოვანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა ან სამხედრო საკარიერო კურსი (CCC და ა.შ.);
- კანდიდატებმა უნდა ჩააბარონ შიდა გამოცდა (გასაუბრების სახით) (მისაღები გამოცდის თემატიკა უნდა გამოქვეყნდეს აკადემიის ვებ. გვერდზე შიდა გამოცდის თარიღამდე 1 თვით ადრე);
- სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე მაგისტრანტობის კანდიდატები პროგრამაზე ირიცხებიან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამაგისტრო პროგრამაზე მიიღებიან:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის წარმომადგენლები:
2. პროგრამაზე ასევე დაიშვებიან უსაფრთხოების სექტორის და სახელმწიფო სტრუქტურების მოქმედი თანამშრომლები და საქართველოს მოქალაქეობის მქონე პირები;
3. სამაგისტრო პროგრამაზე ჩასარიცხი სამხედრო და სამოქალაქო პირების კვოტა არის 30 (20 უფასო და 10 ფასიანი).

სწავლის შედეგები

საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს შემდეგი ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება

1. კრიტიკულად იაზრებს საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის საკვანძო მოვლენებს და განსაზღვრავს მათ გავლენას თავდაცვის დაგეგმვასა და ეროვნულ უსაფრთხოებაზე;
2. სისტემურად აღწერს პოლიტიკურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდებს, საერთაშორისო ორგანიზაციებში გადაწყვეტილების მიღების პროცესს, საერთაშორისო მოლაპარაკების წარმოების ძირითად მეთოდებს და ინსტრუმენტებს;
3. სიღრმისეულად მიმოიხილავს მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, რაც ხელს უწყობს სახელმწიფოთა შორის რაციონალური ბალანსის შენარჩუნებას;
4. აცნობიერებს დიპლომატიის არსს, მის განვითარებას და განმარტავს მისი ევოლუციის ეტაპებს;

უნარი

5. ხსნის ომისა და მშვიდობის შესაძლებლობებს საერთაშორისო ურთიერთობებში, შესაბამისი თეორიული ჩარჩოს გამოყენებით;
6. განსაზღრავს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრის გზებს.
7. დამოუკიდებელად აყალიბებს სათანადოდ დასაბუთებულ და არგუმენტირებულ დასკვნებს ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვენებლების შესახებ საერთაშორისო ურთიერთობების კონტექსტში;
8. კრიტიკულად აანალიზებს კომპლექსურ დიპლომატიურ სცენარებს აპრობირებული სამართლებრივი ჩარჩოს გამოყენებით;
9. აფასებს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრის დიპლომატიურ და სამართლებრივ შესაძლებლობებს.
10. აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით, დამოუკიდებლად ახორციელებს კვლევას და ახდენს ზეპირ და წერილობით კომუნიკაციას.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

11. მიღებული ცოდნის საფუძველზე თანმიმდევრულად წარმართავს სწავლის პროცესს და დამოუკიდებლად განსაზღვრავს მის შემდგომ სასწავლო მოთხოვნებს;

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

დისკუსიები/დებატები, გუნდური მუშაობა, გონებრივი იერიში, როლური თამაში, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, შესრულებაზე ორიენტირებული სწავლა, სიმულაციური სწავლება, ვერბალური, ჯგუფური მუშაობა, პრაქტიკული დავალებები და ა.შ.

სწავლის მეთოდები დაკონკრეტებულია შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში.

საჭიროებისამებრ გამოყენებული იქნება დისტანციური სწავლების ფორმა.

შეფასების სისტემა

საერთაშორისო ურთიერთობები (და სამხედრო დიპლომატიის) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელის ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების შესაბამისად; მსმენელთა დატვირთვა მოიცავს: ლექციაზე, სემინარზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ მეცადინეობას, დამოუკიდებელ მუშაობას, სამეცნიერო-კვლევით კომპონენტზე (სამაგისტრო ნაშრომი და სხვ.) მუშაობას, სამაგისტრო ნაშრომის დაცვას, სხვა სახის საქმიანობას სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე.

მსმენელთა ცოდნის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით. შეფასება ითვალისწინებს: შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას; შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი. შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში;

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა მსმენელს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კომპონენტებში შუალედური და დასკვნითი შეფასებისა და შუალედური შეფასების კომპონენტების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილია 51%.

სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით). დასკვნითი შეფასება მოიცავს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასებას (20 ქულა), რეცენზენტის შეფასებას (30 ქულა) და სამაგისტრო ნაშრომის შეფასებას საჯარო დაცვაზე (50 ქულა). კრედიტის მიღების მოთხოვნაა მაქსიმალური (100) ქულიდან 51 ქულის ან მეტის მიღება.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა
გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51–60 ქულა;

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:

ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა რაც ნიშნავს, რომ მსმენელს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, ჩაიჭრა. მსმენელის სტატუსის შეწყვეტის საკითხს განიხილავს აკადემიური საბჭო.

მსმენელთა ცოდნის შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდები სრულ შესაბამისობაშია როგორც მთლიანად პროგრამით, ისე მისი ცალ¬კე¬უ¬ლი კომპონენტით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) კომპეტენციებთან.

მსმენელს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე სასწავლო კურსში - FX-შეფასების მიღების შემთხვევაში დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე მაგისტრანტმა უნდა შეასრულოს შემდეგი აქტივობები:

- მოამზადოს მინიმუმ ერთი პუბლიკაცია და გამოაქვეყნოს რეფერირებად ჟურნალში;
- მონაწილეობა მიიღოს მინიმუმ 1 სამეცნიერო კონფერენციაში.

პლაგიატის შესახებ ინფორმირებულობის, პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენის მექანიზმებსა და რეაგირების ნორმებს აყალიბებს: “სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში პლაგიატის აღმოჩენისა და მასზე რეაგირების წესი”.

მსმენელთა ცოდნის შეფასების ფორმები, მეთოდები, კომპონენტები და კრიტერიუმები გაწერილია ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსებში.

დასაქმების სფეროები

კურსდამთავრებულებს შეუძლიათ გააგრძელონ საქმიანობა დიპლომატიურ სამსახურში, მათ შორის საელჩოებში, საკონსულოებში და საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წარმომადგენლობის ფარგლებში. ისინი შეძლებენ მუშაობას როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დიპლომატიურ უწყებებში, სადაც საჭიროა სიტუაციური ანალიზის უნარები და დიპლომატიური ბერკეტების გამოყენება.

მნიშვნელოვანი დასაქმების სფეროა ეროვნული თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემა, სადაც კურსდამთავრებულები შეძლებენ იმუშაონ სტრატეგიული ანალიზისა და პოლიტიკის შემუშავების მიმართულებით ან საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე ინსტიტუტებში. ასევე, კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა ექნებათ საქმიანობა საკონსულტაციო და ანალიტიკურ სფეროებში, სადაც საჭირო იქნება გეოპოლიტიკური ანალიზის მომზადება და სტრატეგიული კონსულტაციების გაწევა. გარდა ამისა, ისინი შეძლებენ მუშაობას მედიასა და საზოგადოებრივ კომუნიკაციებში, როგორც ანალიტიკოსები და ექსპერტები, სადაც მათი ცოდნა ხელს შეუწყობს პოლიტიკურ საკითხებზე სტატიებისა და კვლევების მომზადებას. კურსდამთავრებულების ექსპერტიზა მოთხოვნადი იქნება სამეცნიერო და კვლევით ინსტიტუტებში, სადაც ისინი შეძლებენ გლობალური პოლიტიკური პროცესების, უსაფრთხოების და გეოპოლიტიკური ანალიზის კვლევაში მონაწილეობას. პარალელურად, მათ ექნებათ შესაძლებლობა იმუშაონ საგანმანათლებლო სექტორში აკადემიური საქმიანობის ფარგლებში.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

სწავლის გაგრძელება შესაძლებელია აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე - დოქტორანტურაში, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.

CONFERENCE HALL